

დანართი N1

დამტკიცებულია
სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების მიერ
ოქმი 20.05.2016 წელი
კრების თავმჯდომარე

თემურ ჭინჭარაული

სააქციო საზოგადოება „თელასის“

წესდება

(ახალი რედაქცია)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სააქციო საზოგადოება „თელასი“ (შემდგომ „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის N228 დადგენილების „სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ“ შესაბამისად, შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.
- 1.2. საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, საერთაშორისო სამართლის, აგრეთვე წინამდებარე წესდების შესაბამისად.
- 1.3. საზოგადოების სამართლებრივი ფორმაა - სააქციო საზოგადოება.
- 1.4. ქართულ ენაზე საზოგადოების სრული საფირმო დასახელება: სააქციო საზოგადოება „თელასი“.
- 1.5. რუსულ ენაზე საზოგადოების სრული საფირმო დასახელება: Акционерное общество "Теласи".
- 1.6. ინგლისურ ენაზე საზოგადოების სრული საფირმო დასახელება: Joint Stock Company Telasi.
- 1.7. საზოგადოების შემოკლებული საფირმო დასახელება ქართულ ენაზე: სს „თელასი“
- 1.8. საზოგადოების შემოკლებული საფირმო დასახელება რუსულ ენაზე: АО «Теласи».
- 1.9. საზოგადოების შემოკლებული საფირმო დასახელება ინგლისურ ენაზე: JSC Telasi.
- 1.10. საზოგადოების ადგილმდებარეობაა: საქართველო, 0159, ქ. თბილისი, ვანის ქ. 3.
- 1.11. საზოგადოების საფოსტო მისამართია: საქართველო, 0159, ქ. თბილისი, ვანის ქ. 3.
- 1.12. საზოგადოების ელექტრონული მისამართია: telasi@telasi.ge.
- 1.13. საზოგადოება შექმნილია საქმიანობის ვადის შეუზღუდავად.

მუხლი 2. საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა

- 2.1. საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, აგრეთვე წინამდებარე წესდებით.
- 2.2. საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს იურიდიულ პირს.
- 2.3. საზოგადოება ფლობს მის დამოუკიდებელ ბალანსზე აღრიცხულ განცალკევებულ ქონებას, შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს და განახორციელოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, შეასრულოს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

- 2.4. საზოგადოებას უფლება აქვს, დადგენილი წესის თანახმად, გახსნას საბანკო ანგარიშები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.
- 2.5. საზოგადოება თავის ვალდებულებებზე პასუხისმგებელია მთელი მისი კუთვნილი ქონებით.
- საზოგადოება არ არის პასუხისმგებელი საქართველოს და საკუთარი აქციონერების ვალდებულებებზე.
- საზოგადოების აქციონერები არ არიან პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.
- საზოგადოების აქციონერები საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ზარალის რისკზე პასუხისმგებელი არიან მათი კუთვნილი აქციების ღირებულების ფარგლებში.
- 2.6. საზოგადოებას აქვს მრგვალი ბეჭედი, მისი სრული საფირმო დასახელებით ქართულ და რუსულ ენებზე, საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით.
- საზოგადოებას უფლება აქვს ჰქონდეს შტამპები და ბლანკები საკუთარი საფირმო დასახელებით, ემბლემით, აგრეთვე დადგენილი წესით დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და ვიზუალური იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები.
- 2.7. საზოგადოებას აქვს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აუცილებელია საქმიანობის ნებისმიერი სახეობების განსახორციელებლად, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
- 2.8. საზოგადოებას შეუძლია შექმნას ფილიალები და გახსნას წარმომადგენლობები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.
- საზოგადოების ფილიალები და წარმომადგენლობები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მოქმედებენ საზოგადოების სახელით და საზოგადოების მიერ დამტკიცებული დებულებების საფუძველზე.
- საზოგადოების ფილიალებსა და წარმომადგენლობებს ეძლევათ ქონება, რომელიც აღირიცხება როგორც მათ ცალკე ბალანსებზე, ისე საზოგადოების ბალანსზე.
- საზოგადოების ფილიალის ან წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ინიშნება საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ და მოქმედებს საზოგადოების მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.
- საზოგადოება პასუხისმგებელია თავისი ფილიალისა და წარმომადგენლობის საქმიანობაზე.
- 2.9. საზოგადოებას საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლია ჰქონდეს შვილობილი და დამოკიდებული საზოგადოებები იურიდიული პირის უფლებებით, რომლებიც იქმნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა კანონებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ - შვილობილი ან დამოკიდებული საზოგადოების ადგილმდებარეობის მიხედვით

უცხოური სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

მუხლი 3. საზოგადოების საქმიანობის მიზნები და სახეობები

- 3.1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება.
- 3.2. მოგების მისაღებად, საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს საქმიანობის ნებისმიერი სახეობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით, მათ შორის:
 - ელექტრული და სითბური ენერჯის წარმოება;
 - ელექტრული და სითბური ქსელების მუშაუნარიანობის უზრუნველყოფა;
 - ელექტრული და სითბური ენერჯის მიწოდება (გაყიდვა);
 - ისეთ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობა, რომლებიც მიმართულია საზღვარგარეთ და საქართველოს ტერიტორიაზე აქტივების შექმნაზე, ელექტროენერჯეტიკის სფეროში ქართული კომპანიების აქციების (წილების) ან მათი მართვის უფლებების ჩათვლით;
 - ქ. თბილისის ელექტრომომარაგების, წყალმომარაგებისა და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირება;
 - სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

წინამდებარე წესდების მე-3.2 პუნქტში მითითებული საქმიანობის სახეობები განეკუთვნება საზოგადოების საქმიანობის ძირითად სახეობებს.

- 3.3. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს საქმიანობის გარკვეული სახეობები, რომელთა ჩამონათვალი განსაზღვრულია კანონმდებლობით, მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე.

საზოგადოების უფლება განახორციელოს საქმიანობა, რომლისთვისაც აუცილებელია ლიცენზიის მიღება, წარმოიქმნება ასეთი ლიცენზიის მიღების მომენტიდან ან მასში მითითებულ ვადაში და წყდება ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვისას, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 4. საზოგადოების კაპიტალი

- 4.1. საზოგადოების კაპიტალი შედგენილ უნდა იქნას აქციონერების მიერ შექმნილი (განთავსებული აქციები) საზოგადოების აქციათა ნომინალური ღირებულების მიხედვით.

საზოგადოების კაპიტალს შეადგენს 112 429 418 (ას თორმეტი მილიონ ოთხას ოცდაცხრა ათას ოთხას თვრამეტი) ლარი.

4.2. საზოგადოებას განთავსებული აქვს 112 429 418 (ას თორმეტი მილიონ ოთხას ოცდაცხრა ათას ოთხას თვრამეტი) რაოდენობის ჩვეულებრივი აქცია ერთნაირი ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) ლარი თითოეული, ნომინალური ღირებულების შესაბამისად საერთო თანხით 112 429 418 (ას თორმეტი მილიონ ოთხას ოცდაცხრა ათას ოთხას თვრამეტი) ლარი.

4.3. შესაძლებელია საზოგადოების კაპიტალის:

- გაზრდა აქციების ნომინალური ღირებულების გაზრდით ან დამატებითი აქციების განთავსების გზით;
- შემცირება აქციების ნომინალური ღირებულების ან მათი საერთო რაოდენობის შემცირებით, აგრეთვე საზოგადოების განთავსებული აქციების ნაწილის შექმნის და დაფარვის საშუალებით, წინამდებარე წესდების შესაბამისად.

4.4. საზოგადოების კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ მისი სრულად გადახდის შემდეგ.

დაუშვებელია საზოგადოების კაპიტალის გაზრდა საზოგადოების მიერ მიღებული ზარალის დასაფარად.

საზოგადოების კაპიტალის შემცირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესით.

საზოგადოება ვალდებულია შეამციროს საკუთარი კაპიტალი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.5. საზოგადოება უფლებამოსილია შეიძინოს მის მიერ განთავსებული აქციები, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ, განთავსებული აქციების ნაწილის შექმნის საშუალებით, მათი საერთო რაოდენობის შემცირების მიზნით.

აქციონერთა საერთო კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების კაპიტალის შემცირების შესახებ განთავსებული აქციების ნაწილის შესყიდვის გზით, მათი საერთო რაოდენობის შემცირების მიზნით, თუ ბრუნვაში დარჩენილი აქციების ნომინალური ღირებულება ნაკლებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული კაპიტალის მინიმალურ ოდენობაზე წესდებაში შესაბამისი ცვლილებების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის დოკუმენტების წარდგენის თარიღით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოება ვალდებულია შეამციროს საკუთარი კაპიტალი - საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღით.

ამ პუნქტის შესაბამისად საზოგადოების მიერ შექმნილი აქციები დაფარულ უნდა იქნას მათი შექმნისას.

წინამდებარე პუნქტის შესაბამისად შესაძენი აქციების გადახდა, საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ფულით და(ან) სხვა ქონებით.

მუხლი 5. საზოგადოების აქციები, ობლიგაციები და სხვა სახის ფასიანი ქაღალდები

- 5.1. საზოგადოება ჩვეულებრივ (და პრივილეგირებულ) აქციებს განათავსებს, აგრეთვე უფლებამოსილია განათავსოს ერთი ან რამდენიმე ტიპის პრივილეგირებული აქცია, ობლიგაცია ან სხვა საემისიო ფასიანი ქაღალდები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.
- 5.2. დაუშვებელია ჩვეულებრივი აქციების კონვერტაცია პრივილეგირებულ აქციებად, ობლიგაციებად და სხვა ფასიან ქაღალდებად.
- 5.3. საზოგადოების მიერ საზოგადოების აქციების და სხვა აქციებად კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების განთავსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.4. საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს დამატებითი აქციებისა და სხვა საემისიო ფასიანი ქაღალდების განთავსება საზოგადოების აქციონერთა შორის მათი განაწილების, ხელმოწერის და კონვერტაციის საშუალებით.
- 5.5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, საზოგადოების აქციონერებს აქვთ უპირატესი უფლება ხელმოწერის საშუალებით შეიძინონ განსათავსებელი დამატებითი აქციები და აქციებად კონვერტირებადი საემისიო ფასიანი ქაღალდები, მათი კუთვნილი ამ კატეგორიის (ტიპის) აქციების რაოდენობის პროპორციული რაოდენობით.
- 5.6. თუ დამატებითი აქციების შექმნაზე უპირატესი უფლების განხორციელებისას, აგრეთვე აქციების კონსოლიდაციისას, აქციონერისათვის შეუძლებელია აქციათა მთელი რაოდენობის შექმნა, ხორციელდება აქციათა ნაწილის (დაყოფილი აქციების) წარმოქმნა.
დაყოფილი აქცია მის მფლობელ აქციონერს უზრუნველყოფს შესაბამისი კატეგორიის (ტიპის) აქციით მინიჭებული უფლებებით, იმ მთელი აქციის ნაწილის შესაბამისი მოცულობით, რომელსაც იგი შეადგენს.
დაყოფილი აქციების ბრუნვა ხორციელდება მთლიანი აქციების თანაბრად. იმ შემთხვევაში, თუ ერთი პირი ყიდულობს ერთი კატეგორიის (ტიპის) ორ ან მეტ დაყოფილ აქციას, ეს აქციები ქმნის ერთ მთლიან და (ან) დაყოფილ აქციას, რომელიც ამ დაყოფილი აქციების ჯამის ტოლია.
- 5.7. ხელმოწერის გზით განსათავსებელი დამატებითი აქციების გადახდა შეიძლება განხორციელდეს ფულით, ფასიანი ქაღალდებით, სხვა ფულადი ღირებულების მქონე ნივთებით ან ქონებრივი უფლებებით.
დამატებითი აქციების გადახდა საზოგადოების მიმართ ფულადი მოთხოვნების ჩათვლის გზით დასაშვებია მათი დახურული ხელმოწერის საშუალებით განთავსების შემთხვევაში.

დამატებითი აქციების გადახდის ფორმა განისაზღვრება მათი განთავსების შესახებ გადაწყვეტილებით. სხვა საემისიო ფასიანი ქაღალდების გადახდა წარმოებს მხოლოდ ფულით.

5.8. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს მის მიერ განთავსებული აქციები საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, წინამდებარე წესდების მე-4.5 პუნქტით დადგენილი შემთხვევის გარდა.

სამეთვალყურეო საბჭო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების მიერ აქციების შეძენის შესახებ, თუ საზოგადოების ბრუნვაში არსებული აქციების ნომინალური ღირებულება შეადგენს საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 90 პროცენტზე ნაკლებს.

წინამდებარე პუნქტის შესაბამისად საზოგადოების მიერ შეძენილი აქციები არ ანიჭებს ხმის უფლებას, ხმების დათვლის დროს არ აღირიცხება, მათზე არ ირიცხება დივიდენდები. ასეთი აქციების რეალიზაცია ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით იმ ფასად, რომელიც არ არის ნაკლები მათ საბაზრო ღირებულებაზე, არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში მათი შეძენის თარიღიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციონერთა საერთო კრებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების კაპიტალის შემცირების შესახებ აღნიშნული აქციების დაფარვის გზით.

წინამდებარე პუნქტის შესაბამისად შესაძენი აქციების გადახდა, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ფულით და (ან) სხვა ქონებით.

მუხლი 6. საზოგადოების აქციონერთა უფლებები

6.1. საზოგადოების აქციონერად მიჩნეულ უნდა იქნეს პირი, რომელიც საზოგადოების აქციებს ფლობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ საფუძველზე.

6.2. ერთი და იგივე კლასის აქციები მფლობელებს უზრუნველყოფს თანაბარი უფლებებით.

6.3. საზოგადოების ჩვეულებრივი სახელობითი აქციების მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ:

- 1) მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში პირადად ან წარმომადგენლის საშუალებით, მათ კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე ხმის უფლებით;
- 2) საერთო კრების დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით შეიტანონ წინადადებები, საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესის თანახმად;
- 3) მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები;
- 4) მიიღონ ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და გაეცნონ

საზოგადოების დოკუმენტებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების და წინამდებარე წესდების შესაბამისად;

- 5) მოითხოვონ საზოგადოების მიერ მათი კუთვნილი ყველა აქციის ან ნაწილის გამოსყიდვა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- 6) ისარგებლონ ხელმოწერის საშუალებით განსათავსებელი დამატებითი აქციების და აქციებად კონვერტირებადი საემისიო ფასიანი ქაღალდების უპირატესი გამოსყიდვით, რაოდენობით, რომელიც მათი კუთვნილი ამ კატეგორიის (ტიპის) აქციების რაოდენობის პროპორციულია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;
- 7) საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღონ მისი ქონების ნაწილი, საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესის თანახმად;
- 8) განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით და აქციონერთა საერთო კრების მიერ მისი კომპეტენციის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული უფლებები.

მუხლი 7. დივიდენდები

- 7.1. საზოგადოება უფლებამოსილია, ფინანსური წლის პირველი კვარტლის, ნახევარი წლის, ცხრა თვის და (ან) ფინანსური წლის შედეგების მიხედვით, მიიღოს გადაწყვეტილება (გამოაცხადოს) დივიდენდების გადახდის შესახებ განთავსებული აქციების შესაბამისად. ფინანსური წლის პირველი კვარტლის, ნახევარი წლის და ცხრა თვის შედეგების მიხედვით დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია სამი თვის განმავლობაში შესაბამისი პერიოდის დასრულების შემდეგ.

საზოგადოება ვალდებულია გადაიხადოს გამოცხადებული დივიდენდები თითოეული კატეგორიის (ტიპის) აქციების მიხედვით.

- 7.2. გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) შესახებ, გარდა ამისა, გადაწყვეტილება დივიდენდების ოდენობის და მისი გადახდის ფორმის შესახებ თითოეული კატეგორიის (ტიპის) აქციების მიხედვით, მიღებულ უნდა იქნას საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ.

დივიდენდების ოდენობა არ შეიძლება იყოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რეკომენდებულზე მაღალი.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აქციებზე დივიდენდების არგადახდის შესახებ.

- 7.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება (გამოაცხადოს) აქციებზე

დივიდენდების გადახდის შესახებ, ამასთანავე, არ არის უფლებამოსილი გადაიხადოს აქციებზე გამოცხადებული დივიდენდები.

- 7.4. დივიდენდების გადახდის წყაროა საზოგადოების მიერ მიღებული მოგება დაბეგვრის შემდეგ (საზოგადოების წმინდა მოგება). საზოგადოების წმინდა მოგება განისაზღვრება საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით.
- 7.5. დივიდენდების გადახდის ვადა განისაზღვრება საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60 (სამოც) დღეს მათი გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების გადახდის ვადა არ არის განსაზღვრული მათი გადახდის შესახებ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, იგი მიიჩნევა 60 (სამოცი) დღის ტოლად დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან.
- 7.6. იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების გადახდის წინამდებარე წესდების მე-7.5 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადის განმავლობაში, გამოცხადებული დივიდენდები არ იქნა გადახდილი პირისათვის, რომელიც შეტანილია დივიდენდების მიღების უფლების მქონე პირთა სიაში, ასეთ პირს უფლება აქვს მიმართოს საზოგადოებას გამოცხადებული დივიდენდების გადახდის მოთხოვნით, აღნიშნული ვადის გასვლიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

წინამდებარე პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვისას, გამოცხადებული და აქციონერის მიერ მოუთხოვნილი დივიდენდები ექვემდებარება აღდგენას საზოგადოების გაუნაწილებელ მოგებაში.

მუხლი 8. საზოგადოების ფონდები

- 8.1. საზოგადოება სარეზერვო ფონდს ქმნის საზოგადოების კაპიტალის 15 (თხუთმეტი) პროცენტის ოდენობით.
- 8.2. საზოგადოების სარეზერვო ფონდში ყოველწლიური სავალდებულო ანარიცხების ოდენობა შეადგენს საზოგადოების წმინდა მოგების 5 (ხუთ) პროცენტს სარეზერვო ფონდის მიერ დადგენილი ოდენობის მიღწევამდე.
- 8.3. საზოგადოების სარეზერვო ფონდი განკუთვნილია საზოგადოების ზარალის დასაფარად, აგრეთვე საზოგადოების ობლიგაციების დასაფარად და საზოგადოების აქციების გამოსასყიდად სხვა სახსრების არარსებობის შემთხვევაში.
საზოგადოების სარეზერვო ფონდის სხვა დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია.
- 8.4. საზოგადოება უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, შექმნას სხვა ფონდები, რომლებიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტის სახით.

მუხლი 9. საზოგადოების მართვისა და კონტროლის ორგანოები

9.1. საზოგადოების მართვის ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- გენერალური დირექტორი.

მუხლი 10. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება

10.1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

10.2. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები:

- 1) წინამდებარე წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
- 2) საზოგადოების რეორგანიზაცია;
- 3) საზოგადოების ლიკვიდაცია, სალიკვიდაციო კომისიის დანიშვნა და შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცება;
- 4) გამოცხადებული აქციების რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კატეგორიის (ტიპის) და ამ აქციებით მინიჭებული უფლებების განსაზღვრა;
- 5) საზოგადოების კაპიტალის გაზრდა აქციათა ნომინალური ღირებულების გაზრდის ან დამატებითი აქციების განთავსების საშუალებით (გარდა წინამდებარე წესდების მე-12 მუხლის მე-12.1 პუნქტის მე-7 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);
- 6) საზოგადოების კაპიტალის შემცირება აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირებით, საზოგადოების მიერ აქციათა ნაწილის შექმნით მათი საერთო რაოდენობის შემცირების მიზნით, აგრეთვე საზოგადოების მიერ შექმნილი ან გამოსყიდული აქციების დაფარვის საშუალებით;
- 7) საზოგადოების აქციათა დაყოფა და კონსოლიდაცია;
- 8) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების მიერ აქციებად კონვერტირებადი ობლიგაციების ან სხვა აქციებად კონვერტირებადი საემისიო ფასიანი ქაღალდების (დაშვებული (განცხადებული) აქციების) შესაძლო განთავსების შესახებ;
- 9) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა და მათი უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა;
- 10) საზოგადოების აუდიტორის დამტკიცება;
- 11) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების გადაცემის შესახებ მმართველი ორგანიზაციისათვის (მმართველისათვის) და მმართველი ორგანიზაციის

(მმართველის) უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის შესახებ;

- 12) საზოგადოების წლიური ანგარიშის, ფასს-ის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, ასევე საზოგადოების მოგებისა (დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) ჩათვლით, იმ მოგების გარდა, რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით ფინანსური წლის პირველი კვარტლის, ნახევარი წლის, ცხრა თვის შედეგების მიხედვით) და ზარალის განაწილება ფინანსური წლის შედეგების მიხედვით;
- 13) დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) ფინანსური წლის პირველი კვარტლის, ნახევარი წლის, ცხრა თვის შედეგების მიხედვით;
- 14) დივიდენდების სააღრიცხვო თარიღის და დივიდენდების გადახდის დაწყების თარიღის განსაზღვრა;
- 15) საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების წარმართვის წესის განსაზღვრა;
- 16) გადაწყვეტილებათა მიღება იმ გარიგებების მოწონების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 16¹-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირები ან რომლის ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების 10 (ათ) ან 10 პროცენტზე მეტს, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 16¹-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;
- 17) გადაწყვეტილების მიღება იმ გარიგების მოწონების შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50 (ორმოცდაათ) პროცენტს;
- 18) შიდა დოკუმენტების დამტკიცება, რომლებიც არეგულირებს საზოგადოების ორგანოთა საქმიანობას;
- 19) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების და (ან) კომპენსაციების გადახდის შესახებ, ასეთი გადახდების ოდენობის დადგენის ჩათვლით;
- 20) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

10.3. დაუშვებელია საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად გადაცემა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორისათვის.

აქციონერთა საერთო კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის შეტანილი საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში, აგრეთვე შეცვალოს დღის წესრიგი.

10.4. კენჭისყრაზე დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას კრებაში მონაწილე ხმის უფლების მქონე საზოგადოების აქციონერთა მფლობელი აქციონერების ხმათა უმრავლესობით.

10.5. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილე ხმის უფლების მქონე საზოგადოების აქციათა მფლობელი აქციონერების ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- წინამდებარე წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
- საზოგადოების რეორგანიზაცია;
- საზოგადოების ლიკვიდაცია, სალიკვიდაციო კომისიის დანიშვნა და შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცება;
- გამოცხადებული აქციების რაოდენობის, ნომინალური ღირებულების, კატეგორიის (ტიპის) და ამ აქციებით მინიჭებული უფლებების განსაზღვრა;
- საზოგადოების კაპიტალის გაზრდა დამატებითი აქციების განთავსების (საზოგადოების აქციებად კონვერტირებადი საემისიო ფასიანი ქაღალდების განთავსების) საშუალებით;
- საზოგადოების კაპიტალის შემცირება აქციათა ნომინალური ღირებულების შემცირების საშუალებით;
- გადაწყვეტილების მიღება იმ გარიგების მოწონების შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50 (ორმოცდაათ) პროცენტს;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

გადაწყვეტილება იმ გარიგების მოწონების შესახებ, რომელშიც „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის შესაბამისად არსებობს დაინტერესება, მიღებულ უნდა იქნას საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის შესაბამისად.

10.6. გადაწყვეტილება წინამდებარე წესდების მე-10 მუხლის მე-10.2 პუნქტის მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-11, მე-15-17, ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ უნდა იქნას საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მხოლოდ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებით.

10.7. ხმის მიცემა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე ხორციელდება პრინციპის „ხმის უფლების მქონე ერთი აქცია - ერთი ხმა“ შესაბამისად.

10.8. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება ჩატარებულ უნდა იქნეს ფინანსური წლის დასრულებიდან არანაკლებ ორი თვის და არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში.

საზოგადოების აქციონერთა საერთო წლიურ კრებაზე სავალდებულო წესით უნდა გადაწყდეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტორის არჩევის, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის

საზოგადოების მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის (მოგებისა და ზარალის ანგარიშების) დამტკიცების საკითხები, ასევე ფინანსური წლის შედეგების მიხედვით საზოგადოების მოგების (აგრეთვე დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) და ზარალის განაწილების საკითხები.

- 10.9. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება ჩატარებულ უნდა იქნეს აქციონერთა (აქციონერთა წარმომადგენლების) ერთობლივი დასწრების ფორმით, დღის წესრიგის საკითხების განხილვისა და კენჭისყრაზე დაყენებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარების კონკრეტული მისამართი განისაზღვრება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის დროს.

- 10.10. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მოადგილის არყოფნის შემთხვევაში - გენერალური დირექტორი. მათი არყოფნის შემთხვევაში კრების თავმჯდომარეს ირჩევს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ოქმს აქციონერთა საერთო კრების მიმდინარეობის და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ადგენს ნოტარიუსი.

- 10.11. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მოწვევის, მომზადებისა და ჩატარების წესს განსაზღვრავს დებულება საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მომზადებისა და ჩატარების წესის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს აქციონერთა საერთო კრება.

- 10.12. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება კრების (აქციონერთა ერთობლივი დასწრების) ჩატარების გარეშე დაუსწრებელი კენჭისყრის (გამოკითხვის) საშუალებით.

- 10.13. იმ პირთა სია, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში, შედგენილ უნდა იქნეს საზოგადოების აქციონერთა რეესტრის მონაცემთა საფუძველზე.

სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ უნდა დაინიშნოს კრების მოწვევამდე 45 დღით ადრე და კრების მოწვევის შესახებ გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც სააღრიცხვო დღის მდგომარეობით გააჩნიათ აქციებზე საკუთრების უფლება.

საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც სააღრიცხვო დღის მდგომარეობით გააჩნიათ აქციებზე საკუთრების უფლება.

- 10.14. საზოგადოება შეტყობინებას აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ აქვეყნებს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, აგრეთვე განათავსებს ინტერნეტის

ქსელში საზოგადოების ვებ-გვერდზე, მისი ჩატარების თარიღამდე არა ნაკლებ 20 (ოცი) დღით ადრე.

კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი, გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები.

კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს იმ პროცედურის აღწერილობა, რომლის თანახმადაც აქციონერს, კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში, შეუძლია შეამოწმოს თავისი უფლება კრებაში მონაწილეობის მიღებაზე.

- 10.15. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხების შესახებ ინფორმაცია (მასალა), საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარებამდე 20 (ოცი) დღის განმავლობაში, გასაცნობად ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირებისათვის, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში, საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე, აღნიშნული ინფორმაცია ასევე განთავსებულ უნდა იქნას ინტერნეტის ქსელში საზოგადოების ვებ-გვერდზე.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე პირთა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის საკითხების შესახებ ინფორმაციის (მასალების) გაცნობის წესი და ასეთი ინფორმაციის (მასალების) ჩამონათვალი განისაზღვრება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.

- 10.16. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია (კვორუმი შემდგარია), თუ მასში მონაწილეობა მიიღეს აქციონერებმა, რომლებიც ერთობლივად ფლობენ საზოგადოების ხმის უფლების მქონე განთავსებული აქციების ხმათა ნახევარზე მეტს.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ჩასატარებლად ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში იმ პირის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც თავმჯდომარეობს აქციონერთა საერთო კრებას, მოწვეულ უნდა იქნეს აქციონერთა ხელახალი საერთო კრება იგივე დღის წესრიგით, წინამდებარე წესდების მე-10 მუხლის მე-10.14 და მე-10.15 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად. აქციონერთა ასეთი საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მასში მონაწილეობენ აქციონერები, რომლებიც ერთობლივად ფლობენ საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების არა ნაკლებ 25%. თუ აქციონერთა განმეორებითი საერთო კრება ისევ არ იქნება უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილებები, კვორუმის არარსებობის გამო, მაშინ იმ პირის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც თავმჯდომარეობს აქციონერთა საერთო კრებას, მოწვეულ უნდა იქნას აქციონერთა ხელახალი საერთო კრება იგივე დღის წესრიგით, წინამდებარე წესდების მე-10 მუხლის მე-10.14 და მე-10.15 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს გადაწყვეტილებები მასში მონაწილე ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი აქციონერების რაოდენობის მიუხედავად.

- 10.17. აქციონერები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად, ერთობლივი დასწრების ფორმით, მიჩნეულ უნდა იქნენ აღნიშნული კრების მონაწილეებად.
- 10.18. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებები, წლიური კრების გარდა, მიიჩნეულ უნდა იქნას რიგგარეშედ.
- 10.19. საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარებულ უნდა იქნეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საკუთარი ინიციატივის, საზოგადოების გენერალური დირექტორის, აუდიტორის, აგრეთვე აქციონერთა ან ნებისმიერი კლასის აქციათა 5 (ხუთი) პროცენტის მფლობელი აქციონერთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე.
- 10.20. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ორ და მეტ ეგზემპლარად. ოქმის თითოეულ ეგზემპლარს ხელს აწერს აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარე და ნოტარიუსი.
- 10.21. კენჭისყრის შედეგები და საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გამოცხადდეს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე.

მუხლი 11. წინადადებები საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში შესატან საკითხებთან დაკავშირებით

- 11.1. აქციონერს (აქციონერებს), რომლებიც ერთად ფლობენ საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არა ნაკლებ 5 (ხუთ) პროცენტს, უფლება აქვთ შეიტანონ საკითხები საზოგადოების წლიური საერთო კრების დღის წესრიგში და წამოაყენონ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კანდიდატურები, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივ შემადგენლობას. ასეთი წინადადებები საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ფინანსური წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 60 (სამოცი) დღის განმავლობაში.
- 11.2. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების შეტანასთან და კანდიდატების წამოყენებასთან დაკავშირებული წინადადებები შეტანილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით მათი წარმდგენი აქციონერების (აქციონერის) სახელის და გვარის (დასახელების), მათი კუთვნილი აქციების რაოდენობის და კატეგორიის (ტიპის) მითითებითა და აქციონერთა (აქციონერის) ხელმოწერით.

წინადადება საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების შეტანის შესახებ უნდა შეიცავდეს თითოეული შეთავაზებული საკითხის ფორმულირებას, ხოლო წინადადება კანდიდატის წამოყენების შესახებ - თითოეული შეთავაზებული კანდიდატის სახელსა და გვარს, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებს (დოკუმენტის სერიას და (ან) ნომერს, კანდიდატის პირად ნომერს, მისი გაცემის თარღსა და ადგილს, დოკუმენტის გამცემ ორგანოს, დაბადების ადგილსა და თარიღს, საცხოვრებელ ადგილს), იმ ორგანოს დასახელებას, სადაც

არჩეულ უნდა იქნეს შეთავაზებული კანდიდატი.

- 11.3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია განიხილოს მიღებული წინადადებები და მიიღოს წინადადებები მათი საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით, ან უარი თქვას აღნიშნულზე წინამდებარე მუხლის მე-11.1 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
- 11.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს უარი თქვას საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში აქციონერის (აქციონერების) მიერ წარდგენილ წინადადებების შეტანაზე, აგრეთვე წარმოდგენილი კანდიდატების ჩართვაზე საზოგადოების შესაბამის ორგანოში ასარჩევად კენჭისყრაზე წაყენებულ კანდიდატურათა სიაში შემდეგის საფუძველზე:
- აქციონერის (აქციონერთა) მოთხოვნა შეტანილ იქნა წინამდებარე მუხლის მე-11.1 პუნქტში მითითებულ ვადაზე გვიან;
 - მოთხოვნა გაფორმებულია წინამდებარე მუხლის მე-11.2 პუნქტის დარღვევით;
 - მოთხოვნა შეიცავს საკითხებს, რომლებიც არ შედის საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში.
- 11.5. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება უარი თქვას საკითხის საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში შეტანაზე, ან კანდიდატის ჩართვაზე საზოგადოების შესაბამის ორგანოში ასარჩევად კენჭისყრაზე წაყენებულ კანდიდატურათა სიაში ეგზავნება აქციონერს (აქციონერებს), რომელმაც შეიტანა საკითხი ან წამოაყენა კანდიდატურა, მისი მიღების მომენტიდან არა უგვიანეს 3 (სამი) დღის განმავლობაში.
- 11.6. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები საკითხების ფორმულირებაში, რომლებიც შეთავაზებული იყო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში შესატანად, და ასეთ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების (მათი არსებობის შემთხვევაში) ფორმულირებაში.
- გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც შეთავაზებულია აქციონერების მიერ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში შესატანად, აგრეთვე ასეთი წინადადებების არარსებობის შემთხვევაში, კანდიდატების არარსებობის ან შესაბამისი ორგანოს შესაქმნელად აქციონერთა მიერ შეთავაზებული კანდიდატების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ, შეიტანოს საკითხი საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში ან შეიყვანოს კანდიდატი კანდიდატურათა სიაში.

მუხლი 12. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო

- 12.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას, იმ საკითხების გადაწყვეტის გარდა, რომლებიც

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე წესდების თანახმად შედის საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში.

საზოგადოების საემეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

- 1) საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მათ შორის საზოგადოების განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების და სტრატეგიის შესრულების შესახებ ანგარიშების განხილვა;
- 2) საზოგადოების მიერ აქციების, აქციებად კონვერტირებადი ობლიგაციებისა და აქციებად კონვერტირებადი სხვა ემისიური ფასიანი ქაღალდების განთავსება; აქციებად არაკონვერტირებადი ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების განთავსება;
- 3) საზოგადოების მიერ განთავსებული ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, საზოგადოების აქციების გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებში;
- 4) ქონების ფასის, საემისიო ფასიანი ქაღალდების განთავსების ფასის ან მისი განსაზღვრის წესის და გამოსყიდვის ფასის განსაზღვრა (ფულადი შეფასება), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- 5) ფასიანი ქაღალდების გამოშვების (დამატებითი გამოშვების) შესახებ გადაწყვეტილების, ფასიანი ქაღალდების პროსპექტის, ფასიანი ქაღალდების გამოშვების (დამატებითი გამოშვების) შედეგების შესახებ ანგარიშის, საზოგადოების აქციონერებისაგან აქციების შექმნის შესახებ ანგარიშების, აქციების დაფარვის შესახებ ანგარიშების, საზოგადოების აქციონერთა მიერ მათი კუთვნილი აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებით წარდგენილი მოთხოვნების შედეგების შესახებ ანგარიშების, საზოგადოების აქციონერთაგან აქციების გამოსყიდვის შედეგების შესახებ ანგარიშების დამტკიცება;
- 6) საზოგადოების აქციონერებისაგან შექმნის ან გამოსყიდვის შედეგად, აგრეთვე სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საზოგადოების განკარგულებაში შემოსული აქციების გასხვისება (რეალიზაცია);
- 7) საზოგადოების აქციონერთა წლიური და რიგგარეშე საერთო კრებების მოწვევა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;
- 8) საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცება;
- 9) საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო დღის განსაზღვრა;
- 10) რეკომენდაციები საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთათვის გადასახდელი ანაზღაურებებისა და კომპენსაციების ოდენობასთან დაკავშირებით;
- 11) საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებისათვის წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საკითხების შეთავაზება;

- 12) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტა;
- 13) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და მისი უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა;
- 14) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მდივნის არჩევა და მისი უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა;
- 15) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ფორმირება, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების შესახებ დებულებების დამტკიცება;
- 16) საზოგადოების პოლიტიკის დონის შიდა დოკუმენტების, სტანდარტების, საკვანძო მმართველობითი ბიზნეს-პროცესების მარეგლამენტირებელი დოკუმენტების დამტკიცება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში; რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული დოკუმენტების, აგრეთვე საზოგადოების სხვა შიდა დოკუმენტების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან, იმ შიდა დოკუმენტების გარდა, რომელთა დამტკიცება, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე წესდების შესაბამისად, შედის აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში;
- 17) აუდიტორის მომსახურების საფასურის ოდენობის დადგენა;
- 18) რეკომენდაციები დივიდენდების ოდენობასა და მათი გადახდის წესთან, დივიდენდების სააღრიცხვო თარიღთან და დივიდენდების გადახდის დაწყების თარიღთან დაკავშირებით;
- 19) საზოგადოების ფილიალების შექმნა, წარმომადგენლობების გახსნა და მათი ლიკვიდაცია;
- 20) გადაწყვეტილების მიღება იმ გარიგების მოწონების შესახებ, რომლის ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულებას 10-დან (ათი) 50 (ორმოცდაათ) პროცენტამდე ჩათვლით;
- 21) გადაწყვეტილების მიღება იმ გარიგებების მოწონების შესახებ, რომელთა განხორციელებაში არსებობს დაინტერესება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის შესაბამისად;
- 22) საზოგადოების მონაწილეობა სხვა ორგანიზაციებში (მათ შორის, ორგანიზაციის დაფუძნების გზით, დაფუძნების, საზოგადოების წესდების დამტკიცების, მმართველობისა და კონტროლის ორგანოებში კანდიდატურების არჩევის შესახებ გადაწყვეტილებების წინასწარ მოწონების ჩათვლით), ასევე აქციებისა და წილების შექმნა, გასხვისება და დატვირთვა იმ ორგანიზაციების კაპიტალებში, რომლებშიც მონაწილეობს საზოგადოება, შესაბამისი ორგანიზაციის კაპიტალში მონაწილეობის წილის შეცვლა.

- 23) საზოგადოების რეგისტრატორის და მასთან დასაბუთებული ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე მასთან ხელშეკრულების გაწყვეტის დამტკიცება;
- 24) საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს შექმნა (გენერალური დირექტორის დანიშვნა (არჩევა)) და მისი უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა; გენერალურ დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა, მათ შორის მისი უფლებამოსილების ვადის, გადასახდელი ანაზღაურებისა და კომპენსაციების ოდენობის დადგენა; გენერალურ დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა; გენერალური დირექტორის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და მისი წახალისება საქართველოს შრომის კანონმდებლობის და საზოგადოების ღნა-ს შესაბამისად; გენერალური დირექტორის კანდიდატურის წარდგენა სახელმწიფო ჯილდოების მისაღებად;
- 25) საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშების განხილვა საზოგადოების საქმიანობის (მათ შორის, საკუთარი თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების შესახებ), საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ;
- 26) საზოგადოების შიდა დოკუმენტების, რომლებიც განსაზღვრავს უმაღლესი მენეჯერების მატერიალური სტიმულირების და შრომის ანაზღაურების გადახდის სისტემას, ასევე გადაწყვეტილებების მიღება აღნიშნული შიდა დოკუმენტების შესაბამისად, მათ შორის თანამდებობების ჩამონათვალის განსაზღვრა, რომლებიც განეკუთვნება უმაღლესი მენეჯერების კატეგორიას;
- 27) საზოგადოების საშტატო განრიგის, მასთან ერთად მისი ცვლილების, წინასწარი მოწონება;
- 28) საზოგადოების ბიზნეს-გეგმის (საშუალოვადიანი გეგმა-პროგნოზის), მათ შორის საინვესტიციო პროგრამის დამტკიცება; ბიზნეს-გეგმის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიშების (1-ლი კვარტლის, 6 თვის, 9 თვის და მთლიანად წლის შედეგების მიხედვით) დამტკიცება;
- 29) გენერალური დირექტორის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ეკმ), გენერალური დირექტორის საკონტროლო მაჩვენებლების (სმ), მათი გაანგარიშების და შესრულების შეფასების მეთოდის, აგრეთვე ეკმ-ის და სმ-ის შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება;
- 30) საზოგადოების პოლიტიკის განსაზღვრა შესყიდვების დარგში, ამასთან, ცენტრალური შემსყიდველი კომიტეტის შესახებ დებულების, საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ დებულების (შემდგომ - დებულება) დამტკიცება, საზოგადოების ცენტრალური შემსყიდველი კომიტეტის ხელმძღვანელის და მისი წევრების დამტკიცება, აგრეთვე სხვა გადაწყვეტილებების მიღება დებულების შესაბამისად და შესყიდვების საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშების განხილვა;
- 31) საზოგადოების სარეზერვო და სხვა ფონდების გამოყენების შესახებ

გადაწყვეტილებების მიღება, სპეციალური დანიშნულების ფონდების მიხედვით სახსრების გამოყენების ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება და სპეციალური დანიშნულების ფონდების მიხედვით სახსრების გამოყენების ხარჯთაღრიცხვების შესრულების შედეგების განხილვა, ასევე საზოგადოების შიდა დოკუმენტების დამტკიცება, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ფონდების ფორმირებისა და გამოყენების წესს;

- 32) რისკ-აპეტიტის სიდიდის, რისკების რუკის და ღონისძიებების გეგმების, ასევე რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შესახებ ანგარიშების დამტკიცება;
- 33) საზოგადოების არაპროფილური აქტივების განკარგვის წესის განსაზღვრა, საზოგადოების არაპროფილური აქტივების რეესტრის დამტკიცება და სხვა გადაწყვეტილებების მიღება საზოგადოების არაპროფილური აქტივების განკარგვის პროცედურის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების შესაბამისად;
- 34) იმ ქონების გასხვისებასთან ან შესაძლო გასხვისებასთან დაკავშირებული გარიგებების მოწონება, რომელიც შეადგენს ძირითად საშუალებებს, არამატერიალურ აქტივებს, დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტებს, რომელთა გამოყენების მიზანია ელექტრული და/ან სითბური ენერჯის წარმოება, გადაცემა, დისპეტჩირება და განაწილება, ამასთან, რომლის საბალანსო და/ან საბაზრო ღირებულება აღემატება 840 000 (რვაას ორმოცი ათას) ლარს;
- 35) ნებისმიერი იმ გარიგების მოწონება, რომელიც იწვევს ან შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოების ვალდებულების წარმოქმნა იმ ოდენობით, რომელიც უდრის ან აღემატება 8 400 000 (რვა მილიონ ოთხასი ათასი) ლარის ეკვივალენტურ ფულად თანხას, შემდეგი შემთხვევების გარდა:
 - გარიგებები ელექტროენერჯის, სიმძლავრის, სითბური ენერჯის გაყიდვასთან ან სხვაგვარ გასხვისებასთან დაკავშირებით;
 - გარიგებები ტექნოლოგიური საწვავის შექმნასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით (მათ შორის, და არა მხოლოდ: აირი, ნახშირი, მაზუთი).
 - გარიგებები ელექტრული ენერჯის და სიმძლავრის შექმნასთან დაკავშირებით ელექტროენერჯისა და სიმძლავრის ბაზრებზე, საზოგადოების მიერ ელექტრული ენერჯის და სიმძლავრის მიწოდების უზრუნველსაყოფად;
 - გარიგებების, რომელთა დადება სავალდებულოა საზოგადოებისათვის საქართველოს სამართლებრივი აქტების შესაბამისად და(ან) რომელთა მიხედვითაც გაანგარიშებები ხორციელდება იმ ფიქსირებული ფასებისა და ტარიფების შესაბამისად, რომლებსაც ადგენენ ფასებისა და ტარიფების სახელმწიფო რეგულირების სფეროში უფლებამოსილი ორგანოები (მათ შორის, ხელშეკრულებები ბუნებრივი წყლის ობიექტების წყალსარგებლობის შესახებ, ხელშეკრულებები ელექტროენერჯეტიკის დარგში ოპერატიულ-სადისპეტჩერო მომსახურების გაწევის შესახებ);
 - გარიგებები, რომლებიც ცვლის/ავსებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს

მიერ ადრე მოწონებულ გარიგებებს იმ პირობით, თუ ასეთი ცვლილება/დამატება არ ზრდის ადრე მოწონებულ გარიგებათა ღირებულებას, რომელთა საგანია:

= ხელშეკრულების ფასის დაზუსტება/შემადგენლობის ცვლილება (დეტალიზაცია);

= ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული ვალდებულებების ვადების ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულებების დასრულების ვადას.

36) გარიგებების (იმ გარიგებათა ჩათვლით, რომლებიც ცვლის და/ან წყვეტს ადრე დადებული გარიგებების არსებით პირობებს და/ან ახორციელებს ადრე დადებული გარიგებების მოშლას) მოწონება, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული უძრავ ქონებაზე (მასთან ერთად, მიწის ნაკვეთებსა და დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტებზე) უფლებების გადაცემასთან/მიღებასთან ან ფლობის, განკარგვის და/ან გამოყენების უფლებების გადაცემის/მიღების შესაძლებლობასთან, როდესაც გარიგების ფასი აღემატება 280 000 (ორას ოთხმოცი ათას) ლარს;

37) იმ გარიგებების მოწონება (იმ გარიგებების ჩათვლით, რომლებიც ცვლის ადრე დადებულ გარიგებათა არსებით პირობებს და/ან ახორციელებს ადრე დადებული გარიგებების მოშლას), რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია უძრავ ქონებაზე (მასთან ერთად, მიწის ნაკვეთებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტებზე) საკუთრების უფლების გადაცემასთან/მიღებასთან ან საკუთრების უფლების შესაძლებლობის გადაცემასთან/მიღებასთან, მისი ღირებულების მიუხედავად;

წინამდებარე პუნქტის დებულებები არ გამოიყენება გარიგებებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების ჩათვლით) შექმნასთან, მათ შორის უსასყიდლო, ან გაცვლასთან, საზოგადოების ელექტროქსელური მეურნეობის გაფართოებასთან და/ან სრულყოფასთან, მასთან ახალ მომხმარებელთა მოხმარების სისტემების მიერთების ან არსებული მომხმარებლების მოხმარების სისტემების რეკონსტრუქციის გზით, როდესაც შესაძენი ან გასაცვლელი უძრავი ქონების ღირებულება 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარამდეა.

38) იმ გარიგებების მოწონება, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების ქონების ან თავისთვის ან მესამე პირისათვის მოთხოვნის ქონებრივი უფლებების უსასყიდლო გადაცემასთან; გარიგებების, რომლებიც დაკავშირებულია საკუთარი თავის ან მესამე პირის მიმართ ქონებრივი ვალდებულებებისგან გათავისუფლებასთან; გარიგებების, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების მიერ მესამე პირისათვის მომსახურების (სამუშაოების შესრულების) უსასყიდლო გაწევასთან;

39) მოწონება, იმ შემთხვევებში, როდესაც საკრედიტო და/ან ფინანსური პოლიტიკის თანახმად შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება მიეკუთვნება სამეთვალყურეო

საბჭოს კომპეტენციას, ან არ არის დამტკიცებული ქვემოთ მოცემული გარიგებების მითითებული დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია:

- საზოგადოების მიერ კრედიტებისა და სესხების გაცემასთან;
 - გადახდის განვადების უზრუნველყოფასთან 12 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში;
 - კომერციული კრედიტების უზრუნველყოფასთან 12 თვეზე მეტი ვადით;
 - ძირითად განაკვეთზე ნაკლები ღირებულების შესაბამისად კომერციული კრედიტების უზრუნველყოფასთან 6 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში;
 - საზოგადოების მიერ ფინანსური რესურსების მოზიდვასთან (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, საკრედიტო ხელშეკრულებებს, სასესხო ხელშეკრულებებს, ოვერდრაფტის შესახებ ხელშეკრულებებს, სხვა გარიგებებს, რომლებიც შეიძლება განხილული იქნას სავალო დაფინანსების მოზიდვად, ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გარიგების ჩათვლით);
 - საზოგადოების მიერ ობლიგაციების და/ან თამასუქების შექმნასთან და/ან გასხვისებასთან;
 - საზოგადოების მიერ დეპოზიტების განთავსებასთან;
 - საზოგადოების მიერ კონვერსიული ოპერაციების ჩატარებასთან (უცხოური ვალუტის ყიდვა და/ან გაყიდვა);
 - წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვასთან და/ან გაყიდვასთან;
 - საზოგადოების მიერ თავდებობის და/ან მესამე პირის ვალდებულებების სხვა სახის უზრუნველყოფასთან;
 - საზოგადოების მიერ სავალო ფასიანი ქაღალდების (საემისიო ფასიანი ქაღალდების გარდა) გამოშვებასთან;
 - საზოგადოების მიერ თამასუქების შესაბამისად ვალდებულებების აღებასთან.
- 40) დამოუკიდებელი გარანტიების (მათ შორის, საბანკო, კორპორაციული) გაცემასთან დაკავშირებული გარიგებების მოწონება, აკრედიტივების გახსნით;
- 41) საზოგადოების სადაზღვევო დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებების განსაზღვრა, მათ შორის საზოგადოების მზღვეველის (მზღვეველთა), საზოგადოების სადაზღვევო დაცვის პროგრამის და მისი შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება;
- 42) საზოგადოების დანახარჯების მართვის პროგრამის (კორექტირებული პროგრამის) და მისი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება;
- 43) სამეთვალყურეო საბჭოს სამუშაო გეგმის (კორპორაციული ღონისძიებების ჩატარების გეგმის) დამტკიცება;
- 44) საზოგადოების აქციების და (ან) საზოგადოების აქციებად კონვერტირებადი ემისიური ფასიანი ქაღალდების ლისტინგის შესახებ განცხადებით მიმართვის

თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

- 45) მმართველი ორგანიზაციის (მმართველის) უფლებამოსილებების შეჩერება და საზოგადოების დროებითი აღმასრულებელი ორგანოს დანიშვნა;
- 46) საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ სხვა ორგანიზაციების მართვის ორგანოებში თანამდებობების ჩანაცვლება;
- 47) სხვა საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და წინამდებარე წესდებით, ასევე საზოგადოების შიდა დოკუმენტებით, რომლებიც დამტკიცებულია საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

12.2. დაუშვებელია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაცემა საზოგადოების გენერალური დირექტორისათვის გადაწყვეტილების მისაღებად.

12.3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თავისი უფლებების განხორციელების და მოვალეობათა შესრულების დროს უნდა მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესების დაცვით, საზოგადოების მიმართ უნდა განახორციელონ თავის უფლებები და შეასრულონ მოვალეობები კეთილსინდისიერად და გონივრულად.

12.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან საზოგადოების წინაშე საზოგადოებისათვის მათი ბრალეული მოქმედებების (უმოქმედობის) შედეგად მიყენებული ზარალისათვის, თუ სხვა საფუძვლები და პასუხისმგებლობის მოცულობა არ არის დადგენილი საქართველოს კანონებით.

ამასთან, პასუხისმგებელნი არ არიან სამეთვალყურეო საბჭოს ის წევრები, რომლებმაც ხმა მისცეს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელმაც გამოიწვია საზოგადოებისათვის ზარალის მიყენება ან არ მონაწილეობდნენ კენჭისყრაში.

12.5. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად შეიძლება იყოს ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო - საზოგადოების გენერალური დირექტორი.

მუხლი 13. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა

13.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 6 (ექვსი) კაცის რაოდენობით.

13.2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევენ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე საზოგადოების აქციონერთა მომდევნო წლიური კრების ჩატარებამდე ვადის განმავლობაში.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის (წევრების) ვადამდელი გადარჩევა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის (წევრების) გადარჩევის შემთხვევაში

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) მიჩნეულ უნდა იქნეს არჩეულად საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების თარიღამდე პერიოდის განმავლობაში.

თუ აქციონერთა წლიური საერთო კრება არ ჩატარდა წინამდებარე წესდების მე-10 მუხლის მე-10.8 პუნქტით დადგენილ ვადებში, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება წყდება, საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევის, მომზადების და ჩატარების უფლებამოსილების გარდა.

- 13.3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.
- 13.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული პირების ხელახალი არჩევა შესაძლებელია შეუზღუდავად.
- 13.5. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოს ყველ წევრის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტა.
- 13.6. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის, მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების პერიოდში, შესაძლებელია ანაზღაურების გადახდა და (ან) ხარჯების კომპენსირება, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ფუნქციების შესრულებასთან.

მუხლი 14. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

- 14.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩეულ უნდა იქნეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ მათი შემადგენლობიდან, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, გადაირჩიოს თავისი თავმჯდომარე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით.

- 14.2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ახორციელებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის ორგანიზებას, იწვევს მის სხდომებს და თავმჯდომარეობს მათ, ახორციელებს სხდომებზე ოქმების წარმოების ორგანიზებას, აქციონერთა საერთო კრებაზე ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს.
- 14.3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ახორციელებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელსაც ირჩევენ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან მათი საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით, ხოლო თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში - საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი, რომელსაც ირჩევენ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 15. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

- 15.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების წესი განსაზღვრულია დებულებით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება.
- 15.2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა ჩატარდეს აუცილებლობის მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ კვარტალში ერთხელ.
საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, წინამდებარე წესდების მე-14 მუხლის მე-14.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში) საკუთარი ინიციატივით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, აუდიტორის ან საზოგადოების გენერალური დირექტორის მოთხოვნით.
- 15.3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ახლად არჩეული შემადგენლობის პირველ სხდომაზე სავალდებულო წესით უნდა გადაწყდეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის არჩევის საკითხები.
საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნული სხდომა მოწვეულ უნდა იქნეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიერ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების შესახებ დებულების შესაბამისად.
- 15.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია დაუსწრებელი კენჭისყრით (გამოკითხვის საშუალებით). დაუსწრებელი კენჭისყრის დროს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს ეგზავნება დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებული მასალები და გამოკითხვის ფურცელი, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების შესახებ დებულებით დადგენილი წესის თანახმად ხმის მიცემის მიზნით.
- 15.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება წარმოდგენილ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრთა მიერ მინდობილობის საფუძველზე, მაგრამ სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს არ შეუძლია წარმოადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ერთ წევრზე მეტი.
- 15.6. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მონაწილე წევრთა ხმათა უმრავლესობით, საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.
- 15.7. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება მმართველი ორგანიზაციის (მმართველის) უფლებამოსილებათა შეჩერების და საზოგადოების გენერალური

დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის დანიშვნის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა სამი მეოთხედის ურავლესობით.

- 15.8. იმ გარიგების მოწონების შესახებ გადაწყვეტილება, რომელშიც არსებობს დაინტერესება, მიღებულ უნდა იქნეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის შესაბამისად.
- 15.9. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე საკითხების გადაწყვეტისას, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი ფლობს ერთ ხმას. კენჭისყრის ჩატარებისას ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გამამწყვეტია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
- 15.10. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩასატარებლად ქვორუმი შეადგენს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს არჩეულ წევრთა რაოდენობის არა ნაკლებ ნახევარს.
- 15.11. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე იწარმოება ოქმი. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი შედგენილ და ხელმოწერილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მისი ჩატარების დღიდან სხდომის თავმჯდომარის და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მდივნის მიერ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მისი შედგენის სისწორეზე. ოქმს თან ერთვის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ყველა დოკუმენტი.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა დაუსწრებელი კენჭისყრით მიღების დროს, ოქმს თან უნდა დაერთოს კენჭისყრის მიზნით საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ ხელმოწერილი გამოკითხვის ფურცლები.

მუხლი 16. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

- 16.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ფორმირება ხორციელდება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 16.2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები იქმნება იმ საკითხების დასამუშავებლად, რომლებიც შედის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში ან რომლებიც შეისწავლება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის კონტროლის მიზნით, აგრეთვე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი ორგანოსათვის საჭირო რეკომენდაციების შესამუშავებლად.
- 16.3. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების საქმიანობის რეგლამენტი, ფორმირების წესი, კომპეტენცია და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ცალკე გადაწყვეტილებებით.

მუხლი 17. საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო

- 17.1. საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო - საზოგადოების გენერალური დირექტორი.
- 17.2. საზოგადოების გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.
- 17.3. საზოგადოების გენერალური დირექტორის არჩევა ხორციელდება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მონაწილე წევრთა ხმების უმრავლესობით.
- 17.4. საზოგადოების გენერალური დირექტორის უფლებები და მოვალეობების საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით და მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.
- საზოგადოების გენერალურ დირექტორთან შრომით ხელშეკრულებას საზოგადოების სახელით ხელს აწერს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უფლებამოსილი პირი.
- საზოგადოების გენერალურ დირექტორთან შრომითი ხელშეკრულების პირობები, მათ შორის უფლებამოსილებათა ვადის ნაწილში, განისაზღვრება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ან საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.
- საზოგადოების სახელით დამსაქმებლის უფლებებსა და მოვალეობებს საზოგადოების გენერალური დირექტორის მიმართ ახორციელებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უფლებამოსილი პირი.
- 17.5. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების გენერალური დირექტორის უფლებამოსილებათა შეწყვეტის და საზოგადოების გენერალური დირექტორის არჩევის შესახებ.
- საზოგადოების გენერალური დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით და მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით დადგენილ საფუძველზე.
- 17.7. საზოგადოების გენერალური დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება საზოგადოების მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, იმ საკითხების გარდა, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.
- 17.8. საზოგადოების გენერალური დირექტორი საზოგადოების სახელით მოქმედებს

რწმუნებულების გარეშე, ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებითა და საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით:

- 1) უზრუნველყოფს საზოგადოების საქმიანობის იმ გეგმების შესრულებას, რომლებიც აუცილებელია მისი ამოცანების გადასაჭრელად;
- 2) ახორციელებს საზოგადოებაში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოებას;
- 3) განკარგავს საზოგადოების ქონებას, საზოგადოების სახელით ახორციელებს გარიგებების შესრულებას, გასცემს რწმუნებულებებს, ბანკებში, სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში (აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალურ მონაწილე ორგანიზაციებში) ხსნის საზოგადოების საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;
- 4) გასცემს ბრძანებებს, ამტკიცებს საზოგადოების ლოკალურ ნორმატიულ აქტებს და სხვა შიდა დოკუმენტებს, იმ შიდა დოკუმენტების გარდა, რომლებიც შედის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციაში, გასცემს მითითებებს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა საზოგადოების ყველა მუშაკისათვის;
- 5) საზოგადოების მუშაკებისათვის ადგენს სოციალურ შეღავათებსა და გარანტიებს;
- 6) იღებს გადაწყვეტილებას კოლექტიური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების შესახებ;
- 7) ამტკიცებს დებულებებს საზოგადოების ფილიალებისა და წარმომადგენლობების შესახებ;
- 8) ამტკიცებს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას, საშტატო განრიგს და მუშაკების თანამდებობრივ სარგოს;
- 9) საზოგადოების მუშაკების მიმართ ახორციელებს დამსაქმებლის საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს;
- 10) ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს გენერალური დირექტორის მოვალეობებს მისი დროებითი არყოფნის პერიოდში (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა, მივლინება და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები);
- 11) ამტკიცებს საზოგადოების მუშაკთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებულ გეგმებს და ღონისძიებებს;
- 12) ანაწილებს მოვალეობებს საზოგადოების გენერალური დირექტორის მოადგილეებს (გენერალური დირექტორის მოადგილის ღონის სხვა თანამდებობის პირებს და გენერალური დირექტორისადმი პირდაპირი დაქვემდებარების ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს) შორის;

- 13) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველად წარუდგენს წლიურ ანგარიშს, ფასს-ის შესაბამისად საზოგადოების წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, საზოგადოების მოგებისა და ზარალის განაწილებას ფინანსური წლის შედეგების მიხედვით წინასწარი დამტკიცებისათვის წინამდებარე წესდების მე-19.4 პუნქტის შესაბამისად;
 - 14) ორგანიზებას უწევს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებას;
 - 15) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების შენახვას;
 - 16) ორგანიზებას უწევს და ატარებს სამობილიზაციო მომზადების, სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო სიტუაციების და იმ მონაცემების დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ თავდაცვით ღონისძიებებს, რომლებიც შეადგენს სახელმწიფო საიდუმლოს, აგრეთვე პასუხისმგებელია ანტიტერორისტული დაცვის უზრუნველყოფაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - 17) ამტკიცებს შესყიდვების წლიურ კომპლექსურ პროგრამას, შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამის შესწორებების, შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცებას.
- 17.9. საზოგადოების გენერალური დირექტორი პირადად არის პასუხისმგებელი იმ ცნობების დაცვაზე, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოს შეადგენს.
- 17.10. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილება ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება გადაეცეს მმართველ ორგანიზაციას ან მმართველს.
- მმართველი ორგანიზაციის (მმართველის) უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობის განხორციელებასთან დაკავშირებით განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების მიერ მმართველ ორგანიზაციასთან (მმართველთან) დადებული ხელშეკრულებით.
- საზოგადოების სახელით ხელშეკრულებას მმართველ ორგანიზაციასთან (მმართველთან) ხელს აწერს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უფლებამოსილი პირი.
- მმართველი ორგანიზაციის (მმართველის) ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის, უფლებამოსილების ვადის ნაწილში, განსაზღვრავს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.
- 17.11. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება მმართველი ორგანიზაციის (მმართველის) უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის შესახებ.
- 17.12. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მმართველი ორგანიზაციის ან მმართველის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან ერთად საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო

ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის და საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ, მმართველი ორგანიზაციის (მმართველის) უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის საკითხის გადასაწყვეტად და, თუ სამეთვალყურეო საბჭო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას, საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებათა გადაცემის შესახებ მმართველი ორგანიზაციისათვის (მმართველისათვის).

- 17.13. იმ შემთხვევაში, თუ მმართველ ორგანიზაციას (მმართველს) არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობები, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის და საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ, მმართველი ორგანიზაციის (მმართველის) უფლებამოსილებათა ვადამდელი შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ხოლო, თუ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას, საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებათა გადაცემის შესახებ სხვა მმართველი ორგანიზაციის ან მმართველისათვის.
- 17.14. საზოგადოების გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ახორციელებს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას საზოგადოების გენერალური დირექტორის კომპეტენციის ფარგლებში, თუ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო არ მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.
- 17.15. საზოგადოების გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასევე მმართველი ორგანიზაცია (მმართველი) თავისი უფლებების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს უნდა მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესების დაცვით, უნდა განახორციელონ თავისი უფლებები და შეასრულონ თავისი მოვალეობები საზოგადოების მიმართ კეთილსინდისიერად და გონივრულად.
- 17.16. საზოგადოების გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასევე მმართველი ორგანიზაცია (მმართველი) პასუხისმგებელი არიან საზოგადოების წინაშე მათი ბრალეული მოქმედებების (უმოქმედობის) შედეგად საზოგადოებისათვის მიყენებულ ზარალზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი პასუხისმგებლობის სხვა საფუძვლები და ფარგლები.

მუხლი 18. საზოგადოების აუდიტორი

- 18.1. საზოგადოების წლიური ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისა და დამოწმების მიზნით, საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება ყოველწლიურად ამტკიცებს საზოგადოების აუდიტორს.
- 18.2. საზოგადოების აუდიტორი ახორციელებს საზოგადოების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად

და მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საზოგადოების აუდიტორის მომსახურების საფასურის ოდენობას განსაზღვრავს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.

18.3. საზოგადოების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგების მიხედვით, საზოგადოების აუდიტორმა უნდა შეადგინოს დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- მოსაზრებას ფინანსური ანგარიშგების და სხვა ინფორმაციის (მონაცემების) უტყუარობის შესახებ, იმ გარემოებათა მითითებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ან შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს ასეთი ანგარიშგების ან სხვა ინფორმაციის (მონაცემების) უტყუარობაზე;

- სხვა ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საზოგადოების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგების მიხედვით დასკვნის შედგენის წესსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სამართლებრივი აქტები და საზოგადოების შიდა დოკუმენტები.

მუხლი 19. საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება

19.1. საზოგადოება ვალდებულია აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და წარადგინოს ფინანსური ანგარიშგება საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად.

19.2. საზოგადოებაში პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებაზე, მდგომარეობაზე და ნამდვილობაზე, წლიური ანგარიშის და სხვა ფინანსური ანგარიშგების დროულ წარდგენაზე შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე საზოგადოების აქციონერთათვის, კრედიტორებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის წარსადგენ ცნობებზე საზოგადოების საქმიანობის შესახებ ეკისრება საზოგადოების გენერალურ დირექტორს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

19.3. საზოგადოების წლიურ ანგარიშში, ფასს-ის მიხედვით წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემების ნამდვილობა დადასტურებული უნდა იქნეს საზოგადოების აუდიტორის მიერ.

19.4. საზოგადოების წლიური ანგარიშში, წლიური ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად, საზოგადოების მოგებისა და ზარალის განაწილება ექვემდებარება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წინასწარ დამტკიცებას, არა ნაკლებ ოცაათი (30) დღით ადრე საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების თარიღამდე.

მუხლი 20. საზოგადოების მიერ დოკუმენტების შენახვა. საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიწოდება

20.1. საზოგადოება ვალდებულია შეინახოს შემდეგი დოკუმენტები:

- 1) ხელშეკრულება საზოგადოების შექმნის შესახებ;
- 2) საზოგადოების წესდება და მასში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც რეგისტრირებულია დადგენილი წესის თანახმად, გადაწყვეტილება საზოგადოების შექმნის შესახებ, დოკუმენტი საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ;
- 3) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს საზოგადოების უფლებას მის ბალანსზე არსებულ ქონებაზე;
- 4) საზოგადოების შიდა დოკუმენტები;
- 5) დებულება საზოგადოების ფილიალების და/ან წარმომადგენლობების შესახებ;
- 6) წლიური ანგარიშები;
- 7) საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები;
- 8) ფასს-ის შესაბამისად, საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტები;
- 9) აქციონერთა საერთო კრების (იმ აქციონერის გადაწყვეტილებები, რომელიც არის საზოგადოების ხმის უფლების მქონე ყველა აქციის მფლობელი), საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ოქმები;
- 10) კენჭისყრის ბიულეტენები, აგრეთვე მინდობილობები (მინდობილობათა ასლები) აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მისაღებად;
- 11) დამოუკიდებელ შემფასებელთა ანგარიშები;
- 12) საზოგადოების აფილირებულ პირთა სიები;
- 13) იმ პირთა სიები, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრებაში, აგრეთვე იმ პირთა სიები, რომლებსაც უფლება აქვს მიიღონ დივიდენდები, გარდა ამისა, სხვა სიები, რომლებსაც საზოგადოება ადგენს აქციონერთა მიერ თავისი უფლებების განხორციელების მიზნით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნების შესაბამისად;
- 14) საზოგადოების აუდიტორის, ფინანსური კონტროლის სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების დასკვნები;
- 15) ემისიის პროსპექტები, ემიტენტის ყოველკვარტალური ანგარიშები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს გამოსაქვეყნებელ ან სხვა საშუალებით გასახსნელ ინფორმაციას, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა კანონების შესაბამისად;
- 16) საზოგადოებისათვის გაგზავნილი შეტყობინებები აქციონერთა შეთანხმებების დადების შესახებ, აგრეთვე იმ პირთა სიები, რომლებმაც დადეს ასეთი შეთანხმებები;
- 17) სასამართლოს აქტები და ვებზე საზოგადოების შექმნასთან, მართვასთან ან მასში მონაწილეობასთან დაკავშირებით;

18) სხვა დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით, საზოგადოების შიდა დოკუმენტებითა და საზოგადოების მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით.

20.2. საზოგადოება წინამდებარე მუხლის მე-20.1 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს ინახავს საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისი კანონმდებლობით და საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესითა და ვადებში.

20.3. საზოგადოების რეორგანიზაციის დროს ყველა დოკუმენტი დადგენილი წესით გადაეცემა სამართალმემკვიდრეს.

საზოგადოების ლიკვიდაციის დროს დოკუმენტები, რომლებიც მუდმივად უნდა ინახებოდეს, აქვს სამეცნიერო-ისტორიული მნიშვნელობა, მათ შორის პირად შემადგენლობასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ბრძანებები, პირადი საქმეები და სააღრიცხვო ბარათები, პირადი ანგარიშები და ა.შ.) სახელმწიფო შენახვის მიზნით გადაეცემა საქართველოს ეროვნულ არქივს.

დოკუმენტების გაცემა და მოწესრიგება ხორციელდება საქართველოს ეროვნული არქივის მოთხოვნების შესაბამისად.

ინფორმაცია საზოგადოების შესახებ მიწოდებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

20.4. საზოგადოება თავისი აქციონერებისათვის უზრუნველყოფს წინამდებარე მუხლის მე-20.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წვდომას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

20.5. წინამდებარე მუხლის მე-20.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები საზოგადოების მიერ მიწოდებულ უნდა იქნეს გასაცნობად შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში, საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს შენობაში.

საზოგადოება ვალდებულია, წინამდებარე მუხლის მე-20.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წვდომის უფლების მქონე პირთა მოთხოვნით, მიაწოდოს მათ აღნიშნული დოკუმენტების ასლები.

საფასურის ოდენობას ადგენს საზოგადოების გენერალური დირექტორი და იგი არ უნდა აღემატებოდეს დოკუმენტების ასლების დასამზადებლად გაწეულ ხარჯებს.

საზოგადოება თავის აქციონერებსა და თანამშრომლებს უზრუნველყოფს ინფორმაციის წვდომით, სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 21. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

21.1. შესაძლებელია საზოგადოების ნებაყოფლობითი რეორგანიზაცია შერწყმის, შეერთების, გაყოფის, გამოყოფისა და გარდაქმნის საშუალებით, აგრეთვე,

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძველისა და წესის თანახმად.

- 21.2. საზოგადოების ლიკვიდაცია შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ნებაყოფლობით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესის თანახმად.
- 21.3. საზოგადოების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან იმ სამუშაოების შეწყვეტის შემთხვევაში, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოს შემადგენელ ცნობებს, საზოგადოება ვალდებულია უზრუნველყოს ამ ცნობებისა და მათი მატარებლების დაცულობა, გასაიდუმლოების, ინფორმაციის დაცვის, დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების რეჟიმის ზომების შემუშავებისა და განხორციელების საშუალებით.

მუხლი 22. დასკვნითი დებულებები

- 22.1. წინამდებარე წესდების რეგულირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით არ არის რეგულირებული რაიმე საკითხი, გამოიყენება წესდების შესაბამისი დებულება.
- 22.2. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წესდების ყველა დებულებას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. წესდება ძალაში შედის საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე მისი მიღების მომენტიდან.
- 22.3. წესდება ინტერპრეტირებულ უნდა იქნას მთლიანობაში. წესდების ნებისმიერი დებულების ბათილად ან შეუსრულებლად ცნობის შემთხვევაში, ეს დებულება გამოტოვებულად უნდა იქნეს მიჩნეული. წესდების რომელიმე დებულების ბათილობა ან შეუსრულებლობა არ შეეხება სხვა დებულებებს ან მთლიანად წესდებას.
- 22.4. საზოგადოების სამუშაო ენებია ქართული და რუსული ენები. საზოგადოების მთელი დოკუმენტაცია, მიმოწერა უნდა წარმოებდეს, ხოლო კრებები და/ან სხდომები უნდა მიმდინარეობდეს ქართულ და რუსულ ენებზე ყველა შემთხვევაში, როდესაც ასეთ დოკუმენტაციაში, მიმოწერასა და კრებაზე პირდაპირ ან არაპირდაპირ არის წარმოდგენილი უცხოელი აქციონერი ან მისი წარმომადგენელი. აქციონერის თხოვნით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ყველა დოკუმენტი უნდა ითარგმნოს რუსულ ენაზე საზოგადოების ხარჯზე.

თემურ ჭინჭარაული

თარჯიმანი თინათინ პაატაშვილი
